**საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

**დადგენილება №14**
**2024 წლის 28 ივნისი**

**ქ. საჩხერე**

**,,საჩხერის მუნიციპალიტეტში სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღებისა და მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრის შესახებ" საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 დეკემბრის №47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

**მუხლი 1**

,,საჩხერის მუნიციპალიტეტში სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღებისა და მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრის შესახებ" საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 დეკემბრის №47 დადგენილებაში (სსმ/ვებგვერდი 05/01/2016. სარეგისტრაციო კოდი: 210020010.35.130.016175) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,**მუხლი 1.** დადგინდეს სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის განაკვეთები, სათამაშო ბიზნესის ცალკეული სახეების მიხედვით, შემდეგი ოდენობით:

ა) თითოეულ სამორინეს მაგიდაზე – კვარტალში 20 000 (ოცი ათასი) ლარი;

ბ) თითოეულ სათამაშო აპარატზე – კვარტალში 2 000 (ორი ათასი) ლარი;

გ) თითოეულ წამახალისებელ გათამაშებაზე – საპრიზო ფონდის 10%.

დ) სისტემურ-ელექტრონული ფორმით ორგანიზებულ თამაშობებზე:

დ.ა) სამორინის თამაშობებზე – კვარტალში 250 000 ლარი;

დ.ბ) სათამაშო აპარატების თამაშობებზე – კვარტალში 250 000 ლარი;

დ.გ) ტოტალიზატორის თამაშობებზე – კვარტალში 250 000 ლარი;

ე) აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის მოწყობის ნებართვით ორგანიზებული ობიექტის გარეთ განთავსებული, სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის თითოეულ სალაროზე – კვარტალში 5000 (ხუთი ათასი) ლარი.".

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2024 წლის პირველი ივნისიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

**საჩხერის მუნიციპალიტეტის**
**საკრებულოს თავმჯდომარე** **გაგა დარბაიძე**